საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №145

2025 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 17 ოქტომბრის №69 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2022 წლის 17 ოქტომბრის №69 ბრძანებაში (ვებგვერდი, 18/10/2022, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017025) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებული დანართი №7-ის დანართი №7/38 და №7/39, №7/41-№7/47 და №7/49 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანებით დამტკიცებულ დანართ №8-ს დაემატოს დანართი №8/9 თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2026 წლის 15 იანვრიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**